

## გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ განმარტებითი ბარათი

გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების მოცულობა შეადგენს - 42 225,0 ათ. ლარს, მათ შორის: გადასახადები განისაზღვრა - 37 121,8 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც თავის მხრივ შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის - 32 521,8 ათ. ლარისა და ქონების გადასახადის - 4 600,0 ათ. ლარისგან. გრანტები - მიზნობრივი ტრანსფერი - 300,0 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები - 4 184,4 ათ. ლარის ოდენობით და არაფინანსური აქტივების კლება - 500,0 ათ. ლარის ოდენობით.

გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა - 42 746,2 ათ. ლარის ოდენობით. ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების და თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიზნით გათვალისწინებული იქნა საზოგადოებრივი ინტერესები და გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში თავად შეიმუშაონ და წარმოადგინონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრიორიტეტული პროექტები რომელთა სავარაუდო მოცულობა 2021 წლის ბიუჯეტში - 2 980,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

ბიუჯეტის გადასახდელები წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების გარდა მიმართულია ბიუჯეტის 5 ძირითადი პრიორიტეტის დაფინანსებაზე, კერძოდ:

**1. ინფრასტრუქტურის განვითარებაზე** მიმართულია - 15 368,9 ათ. ლარი, მათ შორის:

**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული** - 3 775,1 ათ ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-შენახვას - 300,0 ათ. ლარის ოდენობით, გზების მშენებლობა და რეაბილიტაციას - 3 112,3 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს: გორში გოგებაშვილის ქუჩის გაგრძელების რეაბილიტაციას და ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობას. სოფელ ტირძნისი-თერგვისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, სოფელ აპვი-ჯარიაშენის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, სოფელ ორთაშენში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის, სოფელ ხელთუბანში საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის და სოფელ ატენში „გარდატენის“ გზის რეაბილიტაციის დასრულებას, გორში, ამილახვრის, ტყვიავის, შარტავას ქუჩის რეაბილიტაციის დასრულებას და სამეფოს ქუჩის რეაბილიტაციის თანადაფინანსებას სრული ღირებულების 15 %-ის ოდენობით, რომლის რეაბილიტაციასაც ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობას - 362,8 ათ. ლარის ოდენობით.

• **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე მიმართული** - 1 203,7 ათ. ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის გარე განათების ელექტრო ენერჯის

ხარჯს – 900,0 ათ. ლარის ოდენობით და გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვას - 303,7 ათ. ლარის ოდენობით.

- **საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაციაზე მიმართული** - 40,0 ათ. ლარი ითვალისწინებს რკინიგზის სადგურის დასახლებაში არსებული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მიერ დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურებას - 40,0 ათ. ლარის ოდენობით,
- **წყლის სისტემის განვითარებაზე მიმართული** - 2 506,2 ათ. ლარი ითვალისწინებს სოფელ ციცაგიანთკარში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის, სოფელ წედისი-ბნავისი-ოლოზის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის, სოფელ ხიდისთავში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების დასრულებას და წყლის სისტემის მოვლა-პატრონობას.
- **საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური შედამხედველობის მომსახურებაზე მიმართულია** - 754,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე მიმართულია** – 477.0 ათ. ლარის ოდენობით. აქედან 412,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების თანადაფინანსების განსახორციელებლად.
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსებაზე მიმართულია** – 300,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებებზე მიმართულია** – 100,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **სკვერების, პარკების და გაზონების რეაბილიტაციაზე მიმართული** - 624,9 ათ. ლარი ითვალისწინებს 9 აპრილის სკვერისა და მონუმენტის რეაბილიტაციას და დასვენების პარკის „ახალბაღი“-ს რეაბილიტაციის თანადაფინანსებას სრული ღირებულების 15 %-ის ოდენობით, რომლის რეაბილიტაციასაც ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
- **სპორტული მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია** - 100,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მიმართული იქნება გორში სპორტული კორტების რეაბილიტაციის განსახორციელებლად.
- **დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსებაზე მიმართულია** – 187,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ განვითარებაზე მიმართულია** - 295,0 ათ. ლარი.
- **კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებაზე მიმართულია** - 376,0 ათ. ლარი.
- **მოსაცდელების მოწყობაზე მიმართულია** - 30,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირება და მართვაზე მიმართულია** - 20,0 ათ. ლარი.
- **მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობაზე მიმართულია** - 1 600,0 ათ. ლარი.

- სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობაზე მიმართულია - 2 980,0 ათ. ლარი, რომელიც ითვალისწინებს გზების, სკვერების, სპორტული მოედნების, მუნიციპალური შენობების, გარე განათების, სანიაღვრე და სარწყავი არხების და სკოლამდელი დაწესებულებების მოწყობა-რეაბილიტაციას, ურნების და სპეციალური დანიშნულების ინვენტარის შეძენას,
2. დასუფთავება და გარემოს დაცვაზე მიმართულია - 2 708,3 ათ. ლარი, რომელიც მოიცავს:
- დასუფთავება და ნარჩენების გატანას - 2 133,2 ათ. ლარის ოდენობით.
  - პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვას - 575,1 ათ. ლარის ოდენობით.
3. განათლების ხელშეწყობაზე მიმართული - 8 960,0 ათ. ლარი ითვალისწინებს:
- სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციას - 310,0 ათ. ლარის ოდენობით - სოფელ შინდისის და სოფელ შერთულის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას
  - განათლების ხელშეწყობა და თანადაფინანსება - 50,0 ათ. ლარის ოდენობით;
  - სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა - 8 600,0 ათ. ლარის ოდენობით.
4. კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის ხელშეწყობის განვითარებაზე მიმართულია 5 851,6 ათ. ლარი, აქედან:
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2 960,0 ათ. ლარის ოდენობით.
  - კულტურის სფეროს განვითარება - 2 671,6 ათ. ლარის ოდენობით.
  - ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 40,0 ათ. ლარის ოდენობით.
  - რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 180,0 ათ. ლარის ოდენობით გულისხმობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას.
5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიმართული 2307,4 ათ. ლარი გულისხმობს:
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებას - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში - 135,0 ათ. ლარის ოდენობით.
  - მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის სერვისების მიწოდების ხელშეწყობას - 182,0 ათ. ლარის ოდენობით.
  - მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას - 1982,5 ათ. ლარის ოდენობით.
  - 2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი მოქალაქეების დახმარება - 7,9 ათ. ლარის ოდენობით.
6. მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებაზე მიმართული - 7 550,0 ათ. ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერიის და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობას, ასევე სარეზერვო ფონდის, კადრების მომზადების, საგანგებო და ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფის და წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვას და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსურ უზრუნველყოფას.